სასტუმრო ოთახის ბოლოში ვიდეც, ჩემთვის უცნობი ადამიანი დავინახე, მამაჩემს ესაუბრებოდა. მამამ დამიძახა:

—აქ მოდი, მიქელე!

დამცვლდა: უფროსების დამახეზაზე ხომ დაუყოვნებლივ უნდა მივსულიყავ, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს გამიძნელდა, — ფეხშიშველა ვიყავი, როგორც ამას როლი მიკარნახებდა; მოკლე შარვალი მეცვა, მკერდი კი წითელი და თეთრი საღებავებით მქონდა მოთითხნილი.

—ახლავე მოვალ, მამა!—ვუპასუხე და საჩქაროდ ჩაცმა დავიწყე.

ჩემი ამხანაგები მაშინვე გაჰქრნენ. უცხო სტუმარმა და აჩქარებამ წონასწორობა დამაკარგვინეს. სიჩქარისაგან მარჯვენა ფეხსაცმელში მარცხენა ფეხი ჩამიდგამს, ხალათსაც მეონი უკუღმა ვიცვამდი.

—მიშველე, დედა!—ჩუმაღ და მოუთმენლად ვეძახი დედას, — არც ფეხსაცმელი მეტყევა არც ხალათი!

ვიდრე დედა მშველოდა და მაჩქარებდა, მამამ კვლავ დამიძახა:

—სადა ხარ, მიქელე?

—ეხლავე მოვა, ფილიმონ, დაიცადე! — უბასუხა დედამ.

—რა მოგივია, შვილო! მარჯვენა და მარცხენა ფესსაცმელს ვერ არჩევ? რა გაღელვებს? შენ, მგონი, ტირილს აპირებ, მიქელე. საამისო არაფერია. მამაშენს უნდა ამ ახალ სტუმარს შენი თავი წარუდგინოს.

—სწორედ ეს მაღელვებს! ახალი სტუმრებით რომ მოვლენ, მაშინვე ათანაირი კითხვებით ჩამაცვიფლებიან: აბა, იტალიურად ლექსი წაგვიკითხე! ქართული რატომ არ იცი? და სხვა ასეთი... რა ჩემი ბრალია, რომ იტალიაში დავიბადე! რა ჩემი ბრალია, რომ ახალჩამოსული ვარ და ქართული ჯერ არ ვიცი! ერთი და იგივე კითხვებით მაწუხებენ და მამაზე რევენ.

—არა, მიქელე, ეს სულ სხვა სტუმარია, არაფრით არ შეგაწუხებს. აბა, ჩქარა. თავზიანად გეჭიროს თავი.

მოკრძალებით შევაღე სასტუმრო ოთახის კარი.

—მაბატე, მამა, რომ დავაგვიანე!... — ესთქვი ოდნავი ხმის კანკალით და განზე გავვდიქი.

—აი, ბატონო ჯაკკი, ჩემი ბატარა ვაჟი — მიქელე!

წინ წავდექი, ქუსლები დავაბაკუნე, როგორც წესი მოითხოვდა და გავჩერდი. ვიცოდი, რომ სანამ უფროსი ხელს არ გაგიწვდის, მე თვითონ ხელი არ უნდა გავეწოლო.

—გამარჯობა, ყმაწვილო კაცო! — მითხრა სტუმარმა და ხელი გამომიწოდა, მაგრამ მომიჭირა, როგორც ტოლ-ამხანაგს. გუნებაში გამეცინა — სადაური ყმაწვილი კაცი ვარ, ძლივს მწლისა ვარ! რადგანაც ქართული არ ვიცოდი, სტუმარი რუსულად მელაპარაკებოდა.

შევხედე. თვალები და სახე მომიღმარე, ხშირი ხუჭუტა თმა, ისეთივე ხუჭუტა ლამაზი წვერი. მომიწონა ეს სტუმარი.

—წითელკანიანის როლს ასახიერებდა — თითქმის. შიშველი იყო და ჩაცმამ დააგვიანებია... — სიცილით აუსუნა დედამ მამაჩემს.

—წითელკანიანის როლს? — გაკვირვებით იკითხა სტუმარმა.

—ღიბ, «მან რიდი» გატაცებული და წელან წითელკანიანს ასახიერებდა.

—მაშ, მეგობრები გყოფილვართ, ყმაწვილო კაცო! «მან რიდი» მეც ძალიან მამაშენს მაგრამ წითელკანიანის განსახიერებას ვერ არ ვცდილვარ... ძნელი საქმეა, ალბათ! — სრულებით სერიოზული კილოთი მკითხა სტუმარმა, თვალეში კი ღიმილი უცემციმებდა.

—თქვენთვის ძნელი საქმე იქნება: წითელკანიანები არც წვერს ატარებენ, არც უღვაშს.

—ხოო! სამწუხაროდ ჯერ-ჯერობით ვერც წვერს, ვერც უღვაშს ვერ მოვიშორებ.

«მან რიდი» მოსწონს», — გაფიქტე, კარგი აღამიანი უნდა იყო.

—«მან რიდის» გარდა რას კითხულობ?

—ბუშკინის «რუსლან და ლულდმილა» წაგიკითხე.

—ოო, ლამაზი პოემა! მოგეწონა?

—ძალიან! შესავალი ზეპირად ვიცი!

—ზეპირად? მე კი ზეპირად არ ვიცი, თუმცა, თუ მომავონებ...

მაშინვე პოემის შესავალი ვუთხარი.

—ყოჩად, ყოჩად! მადლობელი ვარ, რომ ლამაზი ლექსით მასიაშოვნე. აი, როდესაც მშობლიური ენა გეცოდინება, ბევრ ლამაზ ქართულ ლექსსაც წაიკითხავ!

—მაშ, ქართულს ძალიან მაღე ვისწავლი! — გავთამამდი მე.

—ეგრე, ჩემო ბატარა მეგობარო, ძალიან კარგს იზამ... აბა, საიდუმლოდ გეტყვი, — მითხრა მან და ალერსიანი ღიმილით ჩემსკენ გადმოიხარა, — მეც ხანდახან... ვწერ ლექსებს...

მის გამოხედვაში ჰუმორი ვიგრძენი, ამ ჰუმორის მხოლოდ მაშინ გავუტე, როდესაც გვიზარდე და მისი სიტყვები და ღიმილი მომაგონდა.

—ნებას მომცემთ, თქვენს გვერდით ჩამოვჯდე?


—მხრებზე ხელი მომხვია და გვერდით მომისვა.

—თქვენ, მართლა, ლექსებს წერთ?

—მართლა!...

—მიქელე! იცოდე და დაიხსომე, ჩემო შვილო: ეს — ჩვენი ცნობილი, საყვარელი პოეტი, აკაკი წერეთელი!

ცნობილი და საყვარელი პოეტი, «მან რიდი», პუშკინი, ქართულის არცოდნა; წითელკანიანის როლი ჩვენს სპექტაკლში და სხვა ათანაირი აზრები კორინტელივით ტრიალებდა ჩემს თავში. მასთან ბასით მო-





ხიბლულს, მინდოდა ბევრი რამე მკითხნა, მაგრამ დერეფანში ზარის ხმა გაისმა.

—აბა, ეხლა შენს ოთახში წადი და შენს საქმეს მიხედე!—მითხრა მამამ.

აკაკიმ ხელი ჩამომართვა:

—ნახვამდის, ჩემო პატარა მეგობარო!

წასვლა არ მინდოდა, მაგრამ რა გაეწყობოდა. გავედი და დედაც გამყვა.

—მოგეწონა სტუმარი? ხომ არ გაჯავრებდა? დიმილით მკითხა დედამ. წუთით შევჩერდი და პასუხის ნაცვლად ვკითხე:

—ნეტავ ისევ მალე მოვა? ნახვამდისო მითხრა და...

—ახლა ხშირად ივლის.

გამეხარდა. მარტო, დავრჩი. ავიღე «რუსლან და ლუდმილა» და კითხვა დავიწყე, თან გვიქრობდი: ლექსებს ქართულად წერს... ნეტავი მისი ლექსები ისეთივე ლამაზია, როგორც პუშკინის? დედამ ქართული ანბანის წიგნი უნდა მიყიდოს... ასეთი სასიმიოვნო ადამიანი, ალბათ, ლამაზ ლექსებს წერს...

მალე ვისწავლე მშობლიური ენა და მალე დავიწყე აკაკის ძვირფას ქმნილებათა კითხვა.

...მას შემდეგ ჩემს გულში, ისე როგორც ყოველი ქართველის გულში, ღრმად და წარუშლელად აღბეჭდილია დიდი აკაკის—ჩვენი სასიქადულო მგოსნის სიყვარული.



გაზაფხული რაჭაში

საქარია შერაზადიშვილი

მზისგან დაკრილი ზამთარი მთებს შეეხიზნა სოფლიდან, აპრილთან ერთად მერცხალი ფრთების ფართატით მოფრინდა.

მთებში სადღეღმეო ღრუბლები აშფოთდნენ ღომის ბუხუნით, გულამღვრეული დაიძრნენ საკაურა და ლუხუნი*.

მგონია ნაკადულებმა ცისწაეღონ ფრენა ჩიტვივით, — გაჩენის უმაღ დაიწყეს ქვებზე ხტომა და ტიტინი.

ვით ბავშვმა დედის საკინძე, — მიწა გადახსნა გუთანმა,

ბელტმა ზნორება დაიწყო ზამთრისგან შენახუთარმა.

მიწის ზემოთ და მიწის ქვეშ ყველგან გაცოცხლდა ბუნება, გორბის მოაწვა მარცვალი უპირებს გადაბრუნებას.

ნიშას ბალახი ალაღებს, ჯეჯილი—კაცის მარჯვენას, დალოცვილ იყოს მშრომელი ადამიანის გაჩენა.

ჩვენო ლაქლაქა მამულო, ჩვენო ბალო და ვენახო, ყოველი გამოზაფხული ჯანღონით საცხე გვენახოს.

* მდინარეების რაჭაში.

უფროსი პიონერხელმძღვანელი

საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელმა კ. ნ. ჩარკვიანმა საქ. აღკვ XVII ყრილობაზე მკაფიოდ ჩამოაყალიბა ჩვენი რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციების საბრძოლო ამოცანები.

ამხანაგმა კ. ნ. ჩარკვიანმა კომკავშირის ერთერთ ფრიალ მნიშვნელოვან ამოცანად დაუსახა ხელი შეუწყოს და დაეხმაროს ჩვენი სკოლის მუშაობის შემდგომ აღმავლობას. კომკავშირის მუშაობა სკოლაში ორგანიზებად არის დაკავშირებული პიონერული ორგანიზაციის მუშაობასთან.

კომკავშირის წარმომადგენელი სკოლაში არის უფროსი პიონერხელმძღვანელი. ის მთელი თავისი მუშაობით დაკავშირებულია სკოლის პედაგოგიურ კოლექტივთან. პიონერხელმძღვანელი მოწოდებულია დაეხმაროს სკოლას, კომკავშირის თითოეული პიონერის ჩვენი ქვეყნის ღირსეულ შვილად აღზრდისათვის.

რთული და საინტერესოა უფროსი პიონერხელმძღვანელის სამუშაო. იგი ვალდებულია ისე წარმართოს პიონერორგანიზაციის მუშაობა, რომ ჩაუნერგოს ბავშვებს სოციალისტური სამშობლოს, ბოლშევიკური პარტიისა და დიდი სტალინისადმი უსაზღვრო სიყვარული, ერთგულება და თავდადება. მან ბავშვებში უნდა გამოიმუშაოს მისწრაფება ცოდნის დასაუფლებლად, მისწრაფება მეცნიერებისადმი, ტექნიკისადმი, შრომისადმი. თითოეულ პიონერს უნდა ვანუვიითაროს შეუპოვებობა სიძნელეთა გადალახვაში, სიმამაცე, მხნეობა, ფიზიკური ამტანობა, კოლექტივიზმის გრძობა, უფროსებისადმი პატივისცემა; აგრეთვე დანერგოს ბავშვებში საზოგადოებრივი ჩვევები და ვანუვიითაროს ინიციატივის გამოჩენის უნარი. პიონერხელმძღვანელს მუშაობის დროს უნდა ახსოვდეს ამხანაგ კ. ნ. ჩარკვიანის მოითებება იმის შესახებ, რომ „ვიცნ სკოლაში შეიგნებს, თუ რა დიდი ღირებულება აქვს დროს და მიეჩვევა სისტემატურ მუშაობას, ის ცხოვრებაშიც თანმიმდევარი და მუყაითი იქნება“. პიონერხელმძღვანელი თვითონ უნდა აძლევდეს მაგალითს და ყოველდღიურად ასწავლიდეს


ბავშვებს დროის წესიერად და ნაყოფიერად გამოყენებას.

პიონერხელმძღვანელი უნდა წარმართავდეს ბავშვთა შორის პოლიტიკურ მუშაობას. ამ დიდი საქმის წარმატებით შესრულებისათვის უფროსმა პიონერხელმძღვანელმა უნდა გამოიყენოს ბოლშევიკური პარტიის ბეზღალების და მათი თანამებრძოლების ცხოვრების მაგალითები, საბჭოთა ხალხის თავგანწირული შრომისა და ბრძოლის ცოცხალი სურათები. პიონერხელმძღვანელი სისტემატურად უნდა ესაუბრებოდეს მოსწავლეებს ლენინისა და სტალინის ბავშვობაზე, მათი რევოლუციური მოღვაწეობის შესახებ, დიდ სამამულო ომში საბჭოთა არმიის გმირულ გამარჯვებებზე, მეოთხე სტალინური ხუთწლიანი გეგმის, კომკავშირის გმირული გზის შესახებ, მეცნიერების, ტექნიკის შესახებ და ა. შ.

უფროს პიონერხელმძღვანელს უნდა შესწავლდეს უნარი პიონერორგანიზაციის წინაშე მდგომარე ყველა პრაქტიკული ამოცანა დააყენოს როგორც ხალხისა და კოლექტივის ინტერესებიდან გამომდინარე პოლიტიკური ამოცანა. ამას იგი შეძლებს მხოლოდ მაშინ, როდესაც მისი პოლიტიკური და კულტურული პოზიციები ფართო იქნება. თავისთავზე ყოველდღიური მუშაობა პიონერხელმძღვანელის პირდაპირი მოვალეობაა. მან აგრეთვე უნდა გაიზიაროს მასწავლებლებისაგან ბავშვთა შორის მუშაობის წლობით დაგროვილი გამოცდილება.

პიონერხელმძღვანელი ნორჩი თაობის უფროსი ამხანაგი და მეგობარია. ის ხსოვს უნდა იყოს ბავშვებთან. მაგრამ მისი სახით ბავშვები ყოველთვის უნდა ხედავდნენ არა მარტო ამხანაგსა და მეგობარს, არამედ უპირველეს ყოვლისა — ხელმძღვანელს.

პიონერული ორგანიზაციის შრავალფეროვან მუშაობაში უფროსმა პიონერხელმძღვანელმა ფართოდ უნდა ჩააბას კომკავშირული აქტივისტები, ყველა პიონერი. მაგრამ, ზოგიერთ შემთხვევაში, უფროსი პიონერხელმძღვანელი ცდილობენ ყველაფერი თვითონ გააკეთონ: ჩაატარონ რაზმების



ა ნ ჩ ა რ ი

ალექსანდრე პუშკინი

არის უდაბნო ძუნწი და ვრცელი,
მუდამ მხურვალე მწველი. ტაროსით,
და იქ დგას, როგორც მრისხანი მცველი,
ანჩარი ერთი მთელ სამყაროში

ის მწყურვალე ველთა ბუნებამ ძველად
წარმოშვა რისხვის დღეს აღმფოთებით,
და მან მოშხამა დაუზოგველად
მისი ფესვნი და მკვდარი ფოთლები.

როს შუადღისას აღმური ღვივის,
ქერქიდან ჟონავს შხამი წვეთებად, —
ბინდში ცივდება და ხდება მკვრივი,
ხეს გამკვრივალე ფისად ეღება.

არ მიფრინდება მასთან ფრინველი,
ვეფხვიც არ მიდის, — მხოლოდ ხმაურით
სამკედრო ხეს ესხმის ქარბუქი ბნელი
და მისგან მიჰქრის ის მოშხამული.

როცა დაბურულ ფოთლებსაც შფოთით
მორწყავს ღრუბელი იქ დარჩეული,
ყველა ტოტიდან უხვად ჩამოდის
ქვიშაზე წვიმა შხამშერეული.

ერთხელ კაცს უხმო კაცმა მეფურად
და ის გაპგზავნა ანჩართან ღამით;
ისიც გაუდგა გზას უნებურად,
და დილას მასთან დაბრუნდა შხამით.

თან მოიტანა მან ფისი მკვრივი
და ანჩარის რტო ფოთლებ დამუქნარი.
შუბლიდან, როგორც ნაკადი ცივი,
ჩამოდოდა მას ოფლის ღვარი.

მოსეღისთანავე დაჰკარგა ძალა,
კარავში დაწვა მარტოკა ობლად,
და ყრმა საბრალო გარდაიცვალა
იმ უძლეველის ფეხთა მახლობლად.

მამინ მეუფემ გაჟღენთა შხამით
ბასრი ისრები მორჩილი ჯარის,
და გაუგზავნა მეზობლებს ამით
უცხო ქვეყნებში დაღუპვა ჩქარი.



რას იკვირები, აბა ვინ ვარ?



ლავით ბაჩჩილაძე

რით არა ვარ დოსტაქარი,
 ან ექიმი რად არ მქვია?
 შეეუხეიე იმით მხარი,
 მოვაშორე ამას ქია;
 ის გავაკარ არტაშანზე,
 გატეხილი ჰქონდა წელი.
 თან ქოჩორიც შემოეპარსე,
 რომ გავკარი დანამკრელი.
 ეს გავსინჯე მიკროსკოპით,
 არ სტანჯავდეს სნეულება.
 მორჩება და,—კარგადმოფი
 მადლს ჩურჩულით მეუბნება.
 დაუფიქრდით, აბა, ვინ ვარ,
 ან და ვისი ექიმი ვარ?

არ მოკვდება ასში ერთიც,
 თუ წამალი მიფუსწარი.
 იცი ჩემი პაციენტი
 სულ სხვა გვარი მოდგმის არი.
 რიერაქიდან მზის ჩასვლამდის
 მის ქვეშ ფორთხავს ჩრდილი შავად;
 ეს მოძრაობს მისივე ლანდი,
 მაგრამ თვითონ ვერსად წავა.
 დგას და მხრები ერხევიან,
 თავს უმშვენებს ნისლის ქულა;
 გარს ჩიტები ეხვევიან
 მომღერალნი მხიარულად.
 გეგონებათ თვითონ გალობს
 ის სიმღერას გასაკვირველს...
 და რომ მივსწვდე სამკურნალოდ,
 ზედ მივადამ მაღალ კიბეს.
 დაუფიქრდით, აბა, ვინ ვარ,
 ან და ვისი ექიმი ვარ?

თანაც ამ ჩემს პაციენტებს,
 სხვაგვარი აქვთ ჩვეულება:
 როს დაფარავს კირხლი ქედებს,
 ყველა ქურქით იმოსება,
 ყველა ცდილობს თავის სახლში
 ღამე თბილად გაატაროს,
 ესენი კი სწორედ მაშინ
 გაიხდიან ტანისამოსს;
 ქარ-ყინევაში ღვანან ჩუმად,
 სახლი არის მთა და ველი...
 მაგრამ ისევე დაამშვენებს
 გაზაფხულზე ტანსაცმელი.
 დაუფიქრდით, აბა, ვინ ვარ
 ან და ვისი ექიმი ვარ?

დაცვარული ცივი ოფლით,
 შერბეული ნიაფ-ქარით,
 ბაღში ჩემი ავადმყოფი
 ხელს დამიქნევს ფეხზე მღგარი...
 დიახ, ფეხზე მღგარი მხვდება,
 რაც არ უნდა სიცხე ჰქონდეს,
 რადგან, ერთხელ თუ დაწვება,
 ვერც ადგება ვერასოდეს.
 ამას წინათ დაწვა ერთი,
 ვერ ვუშველე მოფარსხალეს,
 მას გაუპეცს ცულით მკერდი
 და ჩონგური გამოთალეს.
 ხელს გაჰკრაგ და იტყვის ნანას,
 ხმა ღულუნებს უებარი...
 მაგრამ ვნანობ, ო, სულ ვნანობ,—
 წამალი ვერ მიფუსწარი...
 დაუფიქრდით, აბა, ვინ ვარ,
 ან და ვისი ექიმი ვარ?





ვულკანები კამიჩისძვრები

ორი ათასი წლის წინათ ძველი ბერძნები, როდესაც აპენინის ნახევარკუნძულზე თავის ახალშენებს აარსებდნენ, სიცილიის ჩრდილოეთით ერთ პატარა კუნძულს წააწყდნენ, უჩვეულო და საზარელი სურათი წარმოუდგათ მათ: კუნძულის მთის მწვერვალიდან განუწყვეტლივ სქელი კვამლი ამოდიოდა, ხანდახან გავარჯარებული ქვებიც ამოვარდებოდა ხოლმე. ცრუმორწმუნე ბერძნებმა იფიქრეს: ამ მთის შიგნით ცეცხლის ღმერთის ჰეფესტოსის (ანუ ვულკანის) მიწისქვეშა სადგომის შესასვლელი იქნებაო, და ამ მთასა და კუნძულს დაარქვეს ვულკანი. შემდგომში ეს სახელწოდება განზოგადდა და ვულკანი ეწოდა ყველა ამ მთას, რომელიც ამოფრქვევას აწარმოებს.

ვულკანი კონუსური ფორმის მთას წარმოადგენს, ციცაბო კალთებით. ამ მთას თხემზე თასისებური ანუ ძაბრისებური ღრმული აქვს, რომელსაც უწოდებენ კრატერს (ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს „თას“).

ეს ღრმული წარმოადგენს მიწის სიღრმისკენ მიმავალი გრძელი არხის გარეთ გამოსავალს. ამ არხს ვულკანის ყელს უწოდებენ. სწორედ ამ არხის საშუალებით ამოინთხება ვულკანური ნივთიერებანი: ცხელი თხევადი ლავა, გავარჯარებული ქვები, ვულკანური ქვიშა, ფერფლი (ეს უკანასკნელი ისეთი დიდი რაოდენობით გამოიყოფა, რომ ირგვლივ უკუნეთი სიბნელე დგება), უამრავი მხრჩიოლავი აირი (ნახშირბადა, ნახშირბადის ქანგი) და სხვ.

ისეთ ვულკანებს, რომელთაც ისტორიულ წარსულში ერთხელ მაინც ჰქონიათ ამოფრქვევა, მეცნიერები მოქმედ ვულკანებს უწოდებენ. მაგრამ არის მთები, რომელთაც ამოფრქვევის შესახებ ადამიანთა მესხიერებაში მოგონებები არ დაუტოვებიათ, მაგრამ მათი შემადგენლობისა და აგებულების მიხედვით, ადვილად შეიძლება მიხვდე, რომ

ეს მთები ძველ ვულკანებს წარმოადგენენ. ასეთია, მაგალითად, იალბუზი, მყინვარწვერი (ყაზბეგი) და სხვ. მათ უწოდებენ ჩამქრალ ვულკანებს, თუმცა არ შეიძლება ითქვას მათზე, რომ ისინი არასოდეს არ ამოქმედდებიან.

როგორ წარმოიშობა ვულკანი? დიდი ხანია ადამიანს აინტერესებს ამოფრქვევის — ამ ყველაასეთის თავზარდამცემი მოსახანე მოვლენის — წარმოშობის მიზეზები.

მრავალი მილიონი წლის წინათ, დედამიწა დასაწყისში ისეთივე ცეცხლოვანი ბურთი იყო, როგორც მზე. ის მსუბუქი აირებისებური ნივთიერებისაგან შესდგებოდა, დროთა განმავლობაში ეს ცეცხლოვანი ბურთი ცივდებოდა და ჩნდებოდა ქერქი, რომლიდან დედამიწის ბურთის ზედაპირი დაშვარა, მაგრამ თხელი ქერქის ქვეშ ბობოქრობდა ცეცხლმდნარი მასა ე. წ. მაგმა, რომელიც ხშირად ქერქს არღვევდა, გარეთ იღვრებოდა და ცივდებოდა, რის გამო ქერქს ემატებოდა სისქე.

ზოგიერთ მეცნიერის აზრით ეს სისქე 60-70 კილომეტრს აღწევს, ზოგიერთების აზრით კი — 100-120 კილომეტრს. დამტკიცებულია, რომ დედამიწის შიგნით დიდი სიმხურვალეა. წიაღისეი ყოველ 33 მეტრზე ტემპერატურა 1° მატულობს, გამოანგარიშებულია, რომ 66 კილომეტრის სიღრმეზე ტემპერატურა უდრის 20000. ასეთ დიდ ტემპერატურაზე ლითონები დნება. მაგრამ მიუხედავად ამისა, დედამიწის ბურთის ვეებერთელა მასა, არა თხევადი, არამედ მყარი ნივთიერებისაგან შესდგება. დედამიწის შიგნით დავროვილი ნივთიერებანი — რკინა და სხვა ლითონები — მყარ მდგომარეობაშია, მაგრამ გავარჯარებულია. სწორედ დედამიწის მაგარ ქერქსა და მყარ, გავარჯარებულ ბირთვს შუა იმყოფება ცეცხლმდნარი მაგმა.



მაგრამ რა იწვევს მაგმის ანუ ლავის (როგორც მას ვულკანების ამოფრქვევის დროს უწოდებენ) ამოსვლას მიწის ზედაპირზე? როგორც აღნიშნული იყო დღემდეა ნელ-ნელა ჰკარგავს სითბოს და ცივდება. ასევე ცივდება მაგმაც რის გამო იგი იკუმშება, ჩნდება ცარიელი სივრცეები. დღემდეა ქერქი შეკუმშულ მაგმაზე დაყრდნობისას იზნეება და სკდება, ალაგალგ იწევა და წარმოიშობა მთები. ამ დროს ჩნდება ნაპრალები უხსნიან ლავას გარეთ გამოსასვლელ გზას.

ვინაიდან ლავა სწრაფად არ ცივდება მისი შინაგანი სითბო გადაეცემა მიწისქვეშა წყლებს და ჩნდება ცხელი წყაროები. მათ უწოდებენ ჰეიზერებს. არის აგრეთვე ე. წ. ტალახის ვულკანები, რომლებიც კრატერიდან თხევად ტალახს ასვრიან; ამ ტალახს ზოგან ნავთის სუნი ასდის და მართლაც იგი მდიდარია ნავთობით. ასეთი ტალახის ვულკანები გვხვდება აფშერონის ნახევარკუნძულზე, ყირიმში, კამჩატკაზე, კავკასიაში, სცილიაში, ცენტრალურ ამერიკაში, ინდოეთში და ზონდის კუნძულებზე.

საყურადღებოა, რომ თითქმის ყველა ვულკანი ზღვის ახლოს მდებარეობს, უმრავლესობა კი კუნძულებზეა.

მიწისძვრა ან დღემდეა შინაგანი ძალებითაა გამოწვეული, ან კიდევ ზედაპირული ძალებით.

მიწისძვრების მიზეზთა შესწავლა ინტერესს წარმოადგენს, როგორც მეცნიერული, ისე სამეურნეო თვალსაზრისით.

მეცნიერებს, რომელიც შეისწავლის მიწისძვრებს, უწოდებენ სეისმოლოგებს. არსებობს სპეციალური იარაღი, რომლის საშუალებით შეგვიძლია განვსაზღვროთ მიწისძვრის ტალღის ხასიათი და სიჩქარე, მისი პროცესის ხასიათი. ასეთ იარაღს უწოდებენ სეისმომეტრს. ეს მეტად მგრძობიარე იარა-

ღია, რის გამო იგი მოთავსებული უნდა იყოს მყუდრო ადგილას. მიწისძვრის დროს დიდების ხანგრძლივობა არ არის დიდი, ის განისაზღვრება წამობით, წუთობით. სამაგიეროდ შეიძლება განმეორებულ იქნას მთავალჯერ. ასე, მაგალითად, 1923 წ. იაპონიაში კატასტროფული მიწისძვრის პირველ დღეს 216 ბიძგი იყო აღნიშნული, მეორე დღეს 57. მაგრამ ბიძგების სიმრავლით არ შეიძლება ახსნილი იქნეს მიწისძვრის სიძლიერე, ზოგჯერ ერთი ბიძგი უფრო საშიშია, ვიდრე მრავალი.

საბჭოთა კავშირში მიწისძვრათა გავრცელების 5 მთავარი რაიონია: კავკასია, შუა-აზიის მთიანი მხარე, ზაბაიკალიე, ალტაი და კამჩატკა.

დილია როგორც მიწისძვრით, ისე ვულკანური მოქმედებით გამოწვეული ზარალი ილუპება ქალაქები, კულტურის ძეგლები, ილუპებიან ადამიანები. ათასი წლობით ნაშენი ერთ წუთს შეიძლება დაანგროს ბუნების ამ საშიხელმა სტიქიამ. ასე მაგალითად, მიწისძვრის შედეგად ჩინეთში 1556 წ. დაიღუპა 830.000 კაცი, სიცილიაში 1693 წ. 60.000 კაცი, ლისაბონის მიწისძვრის შედეგად დაიღუპა 24.000 კაცი...

იტალიის ერთ-ერთი ქალაქი პომპეი პირველ საუკუნეში დაიღუპა ვულკან ვეზუვის მოქმედების დროს.

საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე შედარებით მძლავრი მიწისძვრა მოხდა ალმატაში 1887 წ., სადაც დაიღუპა 330 კაცი და დაინგრა 1500 შენობა. 1948 წ. ოქტომბერში დიდ მიწისძვრას ქონდა ადგილი ქ. აშხაბადში.

თანამედროვე მეცნიერება დიდ მუშაობას აწარმოებს ვულკანებისა და მიწისძვრების შესასწავლად, რისთვისაც აგებულია სეისმური სადგურები.

ო. კატრიაშვილი



შავი ზოლებით აღნიშნულია მიწისძვრის ზონა.

ფიზიკის ეკვეთილი სტრამეიაში

ყოველდღიურად მრავალი მოსწავლე მგზავრობს ტრამეიის ვაგონებით. მაგრამ იშვიათად თუ იფიქრებს რომელიმე მათგანი, რომ ეს ჩვეულებრივი მგზავრობა გადაქციოს მეტად საინტერესო და სასწავლო ექსკურსიად. ამისათვის საჭიროა დაუფიქრებელი ვაგონებს, ლიანდაგს, მავთულებს და წამყვანის (ვატმანის) მუშაობას.

შევეცადოთ, ჩაეატაროთ ასეთი ექსკურსია. დაეკვირვება დაიწყეთ ტრამეიის გაჩერებაზე. რა თქმა უნდა, თქვენ იცით, რომ ყოველგვარ ელექტროჰუტქელს, ელექტრონათურებს, ელექტროუთოებს, ელექტროქურებს დენი უერთდება ორი მავთულით. ტროლეი ბუსსაც ორი მავთული აქვს, ტრამეიის კი ერთი მავთული ყოფნის.

რატომ ყოფნის ტრამეიის ერთი მავთული? ამ კითხვაზე ყოველ თქვენგანს, რომელსაც ცოტად თუ ბევრად აინტერესებს ელექტროსამუშაო, სულ ადვილად შეუძლია გასცეს პასუხი და იპოვოს ტრამეიის მეორე მავთული: ტრამეიის მეორე მავთულად გამოყენებულია ლიანდაგი. შემთხვევით თუ მოხვდით იმ ადგილს, სადაც ტრამეიის ხაზის შეკეთება ხდება, მოაქციეთ ყურადღება შემდეგ გარემოებას: ლიანდაგების შესაყართან ლიანდაგების ბოლოები შეერთებულია მსხვილი სპილენძის გამტარებით.

ალბათ გინახავთ რკინიგზის ხაზზე ლიანდაგების შესაყართან დატოვებული თავისუფალი ადგილი. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ ლიანდაგს შეეძლოს შექუმვა და გაფართოება ტემპარატურის ცვალებადობის დროს. თავისუფალი არე რომ არ იყოს ზაფხულის ცხელ დღეებში ლიანდაგი გაფართოვდება და გაიღუნება. ტრამეიის ლიანდაგები კი მკვრივად არის შედუღებული ერთმანეთთან. შევეცადეთ ახსნათ, რატომ ამ შემთხვევაში არ არის ტრამეიის ლიანდაგს გაფართოების საშიშროება? თუ დაუფიქრებელით, ადვილია პასუხის გაცემა. რკინიგზის ლიანდაგები დაწყობილია ზევით — ლიანდაგების ლიანდაგები კი დაფარულია ქვაფენილით. ის არ ხურდება ისე ძლიერ და მეორეც სითბო გადაეცემა მიწას, რომელშიაც ის არის ჩაფლული.

აი, მოვიდა ვაგონი და შედინხართ შიგ. რაცა კი ვაგონი დაიძრება, თქვენ რაღაც ძალა გიბიძგებთ. საით: წინ თუ უკან? რა არის ეს ძალა?

მოიგონეთ ფიზიკა, თქვენ ადვილად უპასუხებთ ყველა ამ კითხვებზე. როდესაც ვაგონი დაიძრება, ინერციის ძალა თქვენ გადაგზირთ უკან. დამუხრუჭების დროს კი მობრახობის ინერცია გიბიძგებთ წინ.

აი ვაგონმა სწრაფად მოუხვია, მგზავრები შეირხნენ და ერთ მხარეს გადაიხარნენ. რა ძალა მოქმედობს ამ შემთხვევაში იგივე თუ სხვა?

მოსახვევში მოქმედებს ცენტრამორი ძალა.

წამყვანმა გააჩერა ვაგონი. ჩამოვიდვართ. ექსკურსია დამთავრებულია. ჩვენ ჩავატარეთ მხოლოდ რამოდენიმე დაეკვირვება, ამოვხსენით რამოდენიმე საინტერესო ამოცანა. მაგრამ ბევრი ამოცანა დარჩა ამოსახსნელი! შემდეგი მგზავრობის დროს დაუკვირდით ტრამეიის წამყვანის მუშაობას; ჩაუფიქრდით რომელი ძალით მიდის ვაგონი, როდესაც წამყვანი „გამოთიშავს“ დენს? რისთვის არის ნაპერწკლები ბორბლებს ქვეშ წითელი, მხოლოდ ბიუჯელზე ცისფერი? როგორ აძლიერებს წამყვანი ხახუნს ბორბლებსა და ლიანდაგს შორის? რას აჩვენებს ასარი პატარა მოწყობილობაში, რომელიც წამყვანის მარჯვნივ არის მოთავსებული?

ასეთი ამოცანები და კითხვები შეიძლება წამოიჭრეს მგზავრობის დროს. რომ მოგნახოთ ასეთი ამოცანები, საჭიროა ყურადღებით დაეკვირდეთ გარემოს, მათ ამოსახსნელად კი საჭიროა ვიცოდეთ სკოლაში მიღებული ცოდნის გამოყენება პრაქტიკაში.

ც. მამაცაუშვილი



ბურღლის მაგიერ შეშას ჰყარა...
ერბოს ნაცვლად შიგ სიმყავეს ასხამენ. თუ
სიმყავე არ იქნა, შეშისაგან არ მოიხარშება
ფაფა.

დიდი ხარშის შედეგად, ქვაბში შეშა
ბოჭკოებად ჩაიმჭლევა; შემდეგ ეს ბოჭ-
კოები კიდევ დაიშლება, დანამტეცდება, და
მიიღება ხის ნამდვილი ფაფა. ამ ფაფისაგან
კეთდება ქალაღი.

ქალაღი



ქალაღი უბრალო, მაგრამ მეტად საჭი-
რო ნივთია. მართალია, მისი დაბევა, დაჭმუ-
ჭვნა, დაწვა ადვილად შეიძლება, მაგრამ მი-
სი გაკეთება არ არის ადვილი.

მოსწავლეთა სწავლა დღეს ქალაღის გა-
რეშე წარმოუდგენელია: ისინი ქალაღზე
დაბეჭდილ წიგნებს კითხულობენ, ქალაღი-
საგან გაკეთებულ რვეულებში სწერენ და
ხატავენ... ამიტომ მათთვის საინტერესოა
იკობნენ, თუ როგორ კეთდება ქალაღი.

ქალაღის დამზადების საქმეში მუშაობის
დაწყებისას პირველად ხელში იღებენ
ხეხს.

— როგორ, ქალაღს ხეხით აკეთებენ?
— იკითხავთ გაკვირებულნი.

ხეხი საჭირთა იმისათვის, რომ ტყეში
მოხებრთონ, მოსტრან ნაძვის ხე.

— ნუთუ, ქალაღს ნაძვისხისგან აკეთ-
ებენ?! — იკითხავთ ალბათ.

საქმეც ეს არის, რომ ქალაღს ნაძვის
ხისგან აკეთებენ. ძირზე მოხებრილ ნაძვს
ნაჯახით აცილიან კენწეროსა და ტოტებს.
მორებისაგან ამზადებენ ქალაღს.

— მორებისაგან?! საკვირველია! მორებს
ხომ ფიცრებად ხერხავენ და სახლებს ამე-
ნებენ!

სახლებსაც აშენებენ და ქალაღსაც ამ-
ზადებენ. მორისაგან ქალაღი რომ დამზად-
დეს, საჭირთა იგი დაიჩეხოს როგორც შეშა.
შეშისაგან კი ხარშავენ ფაფას.

— ფაფას?! — კვლავ გაიკვირებთ. ალ-
ბათ.

— დიახ, ფაფას! ამისათვის შეშას აწყობენ
ქვაბში, მაგრამ არა ისეთში, როგორც
თქვენ სამზარეულოში გინახავთ, არამედ
უზარმაზარ—სახლის ოღენა ქვაბში. ქვაბში

— ფაფისაგან ქალაღი მიიღება? ვინ
დაიჯერებს ამას?! — წამოიძახებთ უთულო.
ვისც არ დაიჯერებს, შეუძლია შეამოწ-
მოს. შემოწმება კი ძნელი არ არის.

აიღეთ ქალაღის ფურცელი და გახიეთ,
შემდეგ სინათლეზე გახედეთ. თქვენ დინამ-
ხავთ, რომ იგი არ არის გლუვი, სწორი, არა-
მედ ქეჩისებურად დაბეჭვილია. ამისი მიზე-
ზი ის არის, რომ ქალაღი შესდგება მეტად
წვრილი, ერთმანეთში ჩახლართული ბოჭ-
კოებისაგან. ახლა ქალაღი ნაკეწებად აქ-
ციეთ და დაასველეთ. მალე ბოჭკოები დაი-
შლება და მიიღებთ ქალაღის ფაფას, იმის
მსგავსს, რომლითაც ფაბრიკაში ქალაღს ამ-
ზადებენ.

როდესაც საჭირთა განსაკუთრებული გამ-
ძლე, მყარი ქალაღი, მას აკეთებენ არა ხი-
საგან, არამედ ჩვრებისაგან. ჩვრებისაც ქვაბ-
ში ხარშავენ, მხოლოდ არა სიმყავის დართ-
ვით, არამედ ნაცარწმენდილის ან კირის
დართვით. ამ სახით მოხარშული ჩვრებისა-
გან მზადდება ფაფა, ფაფა კი გარდაიქმნება
ქალაღად.

ყველად ყველაფერ ამას ხელით აკეთებდ-
ნენ, რადგან მამის მანქანები არ იყო. ქა-
ლაღის დამზადება დიდ შრომას მოითხოვ-
და და ამიტომ იგი ძვირად ფასობდა. ყვე-
ლას არ შეეძლო ქალაღის ყიდვა. ამის გა-
მო მოსწავლეებს რვეულები არ ჰქონდათ
და სკოლაში გრიფლის პატარა შავ დაფებს
ატარებდნენ. ეს დაფები რვეულების მა-
გიერი იყო. მოსწავლეები ამ დაფებზე
სწერდნენ და ხატავდნენ ისე, როგორც
თქვენ დღეს რვეულებში სწერთ და ხატავთ.
ეს სრულიად არ იყო მოხერხებული: მოს-
წავლეები სწერდნენ დაფაზე და შლიდნენ.

მათ არ შეეძლოთ დაენახათ და წაეკითხათ, თუ რა დასწერეს წინა გაკვეთილებზე.

სულ სხვაა ქალაღი. ის ყველაფერს ინახავს, რასაც მიანდობთ. ამაზეა ნათქვამი ძველი ანდაზა:—რასაც კალმით დასწერ, მას ნაჯახთაც ვერ ამოსტკობ.

ყოველი მოსწავლისათვის რვეულის ხმა-რება შესაძლებელი ვახდა მას შემდეგ, რაც ქალაღი გაიადდა. ქალაღი კი მამინ გა-იადდა, როცა გამოიგონეს ქალაღის დამა-შხადებელი დიდი მანქანები.

დღეს საბჭოთა კავშირში ჩვენ ვაქვს ქა-ლაღის დამამზადებელი უზარმაზარი ფა-ბრიკები. ამ მხრივ ცნობილია ქალაღის ფაბრიკა მდინარე კამაზე. საქართველოში ვინ არ იცის ენგურის ქალაღის ფაბრიკა! იგი გაშენებულია ზუგდიდის ახლოს, მდი-ნარე ენგურის ნაპირას. ამ ფაბრიკაში მუ-შავედბა და ქალაღად იქცევა სვანეთის ტყეებიდან ჩამოტანილი ნაძვის ხის შორები. ეს შორები ფაბრიკაში მოაქვს მდინარე ენგურს. საერთოდ ქალაღის ფაბრიკებში მუშადება ტყიან მხარეებში, მდინარეების ნა-პირას. მდინარეები იაფი ტვირთზოდვის ერთ-ერთი დიდი საშუალებაა. ტყეებში და-მშადებულ ნაძვის ხის შორებს მდინარეებ-ში ჩაატურებენ. მდინარეებს კი შორები ფა-ბრიკებისაკენ მოაქვთ. ამ შორების დამჭერი მანქანა იჭერს შორებს და თავისი გრძელი „ხელბით“ მოაქვს ფაბრიკაში. საერთოდ მანქანები აღამიანებს ყოველმხრივ ეხმარე-ბიან. მანქანები გამოყენებულია მამინაც კი, როცა ნაძვის ხეები ტყეებში დგანან. ამ თვითმხერხავი მანქანით ძირზე ხერხენ

(სტრიან) ხეებს; ხე-ტყის საზნდავი მანქანით შორებს ეზიდებიან მდინარემდე; მდინარეს შორები მოაქვს ფაბრიკისაკენ; ფაბრიკაში მანქანები მანქანა იჭერს შორებს და აჭერს ფაბრიკას; ფაბრიკაში კი შთელი სიძლიე-რით მუშაობენ სხვადასხვა მანქანები.


ქერქის გამცელი მანქანა შორებს აც-ლის ქერქს; შობელი მანქანა შორებს ამ-ხერქეს და აქცევს შუშად, ნაფორტებად; ნა-ფორტები, სათანადო მოწყობილობის დახმა-რებით ცვივა ქვამში; ქვამიდან, გარეცხვის შემდეგ, შიდის ისეთ მანქანაში, რომელიც მათ წვირთ ბოჭკოებად შლის, და ბოლოს ფაფად ქცეული გადაღის უქანასკნელ მან-ქანაში.

ეს მანქანა იძენად დიდია, რომ ძნელია მიაი ერთი ბოლოდან მეორე ბოლოს დანახ-ვა.

ეს ერთი მანქანა მრავალ მანქანას შეი-ცავს. თითოეული მათგანი ასრულებს თავის საქმეს. ერთი მანქანა რკინის ბაღეს არხებს, რათა ერთმანეთში გადაიხლართოს ბოჭკოე-ბი; ფაფა ღებულობს ცომისებურ სახეს, ამ დროს ქალაღი ფხვიერია და სველი; მეო-რე მანქანა ქალაღიდან გამოსწორავს წყალს და გადასცემს შემდეგ; მესამე მან-ქანა ცხელი ლილვავებს შუა ატარებს ქა-ლაღს და აუთოებს, რომ ქალაღი გლუვი და სავსებით შშრალი იყოს. საბოლოოდ მზა ქალაღი იხვევა კოჭებზე დიდ რულო-ნებად (გრანულიებად).

რულონები იგზავნება დანიშნულებისა-მებრ — სტამბებსა და რვეულის დამამზა-დებელ ფაბრიკებში.

ბორის ბათანდილი



მოკარტის რეკვიემი

სკანალი

მოკარტს ერთ დღეს, როდესაც ის ჩაფლული იყო ღრმა ფიქრებში, კარტის ხმა მიესმა. კარტმა მის კარებთან გაჩერდა. მსახურმა მოახსენა, რომ ვიღაც უცნობს სურს მასთან ლაპარაკი. მოკარტმა ხედავად დართო და უცნობიც შევიდა მასთან. იგი იყო შუახნის კაცი, ძალიან კარგად ჩაცმული, ძალზე თავზიანი და მიმზიდველიც კი.

— ბატონო! მე ერთბაშად ცნობილმა კაცმა დამავლა გინახულოთ თქვენ.

— ვინ არის ეს ადამიანი? — შეეკითხა მოკარტი.

— მას არ სურს თავისი ვინაობის გამხელა.

— კეთილი! რა სურს მას?

— მან დაკარგა მეტად ძვირფასი ადამიანი, რომლის ხსოვნაც მისთვის მუდამ ძვირფასი იქნება. მას სურს ყოველ წელს მისი გარდაცვალების დღე აღნიშნოს საზეიმო პანაშვილით, ამიტომ ის გთხოვთ დასწეროთ რეკვიემი ამ პანაშვიდისათვის.

მოკარტს არ მოეწონა ეს საუბარი, სერიოზული კილო, რომლითაც ის იყო წარმოთქმული. მას მოეჩვენა, თითქოს მთელი ეს შემთხვევა რაღაც საიდუმლოებით იყო მოცული. მოკარტი შეპირდა, რომ რეკვიემს დასწერდა.

უცნობმა განაგრძო:

— ჩააქსოვეთ ამ ნაწარმოებში მთელი თქვენი გენია. თქვენ მუშაობთ ისეთი ადამიანისათვის, რომელიც იცნობს მუსიკას.

— მით უკეთესი.

— რამდენი დრო დაგჭირდებათ?

— ოთხი კვირა.

— კეთილი! მე გვახლებით ოთხი კვირის შემდეგ. — ცოტა ხნის შემდეგ დაუმატა: — რას ფასებთ თქვენს შრომას?

— 100 ლუკატს.

უცნობმა ფული მაგიდაზე დადო და წავიდა.

მოკარტი კარგა ხანს დარჩა გართული ღრმა ფიქრებში. შემდეგ უცბათ მოითხოვა კალამი, მელანი, ქაღალდი და წერას შეუდგა, მიუხედავად იმისა, რომ მას ცოლი უშლიდა. გულმოდგინე შრომა ჩამდინებდეს გარძეწოდა. ის თხზავდა დღე და ღამე, დღი და ღამე, დღი და ღამე, დღი და ღამე, მთელი მატულობდა ეს აღზნება. მაგრამ მოკარტი

ტი სუსტდებოდა და მისი სხეული უკვე ვეღარ უძლებდა ამ ენთუზიზმს. ერთ დილას გრძნობა დაკარგა და იძულებული შეიქნა, ძეშაობა შეეწყვიტა. ცოლი მივიდა მათთან, რათა განეფხტა მისთვის მიმეწევი ფიქრები, მოკარტმა მოულოდნელად უთხრა ცოლს:

— ეს უდაბო, მე ჩემთვის ვწერ ამ რეკვიემს. მას ჩემს პანაშვილზე შეასრულებენ. ვერაფერმა ვეღარ შეუცვალა მოკარტს ეს აზრი.

რამდენადაც მეტს მუშაობდა, მით უფრო მეტად გრძნობდა, რომ ძალია ელეოდა დღითიდღე. პარტია ხელა მიდიოდა წინ. ოთხი კვირა უკვე გავიდა, და უცნობიც გამოცხადდა.

— ვერ შევძელ პირობის შესრულებას, — უთხრა მოკარტმა.

— ნუ სწუხართ! — მიუგო უცნობმა. — რამდენი დრო გჭირდებათ კიდევ?

— ოთხი კვირა. არ შეგონა, თუ სამუშაო ასე დაამატებრესებდა. უფრო მეტად გავშალე და გავაღრმავე, ვინემ მიზნად მქონდა.

— ამ შემთხვევაში სამართლიანი იქნება ჰონორარის მომატება, აი კიდევ 50 ლუკატი დამატებით.

— ბატონო, — უთხრა განცვიფრებულმა მოკარტმა, — ვინ ხართ თქვენ?

— ეს საქმეს არ ეხება. მე ოთხ კვირამი გეახლებით.

მოკარტმა იმავე წუთს მოუხმო მსახურს. დაავლა გააყოლოდა საკვირველ უცნობს და გაეგო ვინ არის ის, მაგრამ მოუხერხებელმა მსახურმა მის კვლსაც ვერ მიაგნო. მოკარტმა თავიდან ვეღარ მოიშორა ეს აზრი, რომ უცნობი არ იყო ჩვეულებრივი ადამიანი... და უფრო მგზნებარებლად განაგრძო მუშაობა რეკვიემზე. ის ამ რეკვიემს უყურებდა როგორც ყველაზე უფრო დღეგრძელ მონუმენტს თავისი შემოქმედებიდან. მუშაობის დროს მან მრავალჯერ დაკარგა გრძნობა. სამუშაო ოთხ კვირაზე აღწერ დასრულდა. უცნობი დანიშნულ დროზე მოვიდა, მაგრამ... მოკარტი უკვე აღარ იყო.

თარგმანი ფრანგულიდან
ნათელა ჯიბლაძე



მცენარეთა დიდი

გადასახლება

არის ძველი ბერძნული თქმულება იმის შესახებ, თუ როგორ შეიქრა უძლეველი და უნიზარი პერაკლი დელამიფის კიდზე მობიზინე მომზიბლაე ბაღში, რომელსაც იცავდა უზარმაზარი დრაკონი და უელიდნენ ტიტან ატლასის ქალიშვილები — კესპერიდები, როგორ ზაიდლო ხელში ამ გრძნეული ბალის სანუეკარი ნაყოფი — ოქროს ვამლეები და მიუტანა იგი ბერძნებს. ბევრ თქვენთაგანს ალბათ მოუსმენია ან უაუციხხავს ტუბილი ქართული ზღაპრებიც უკვადების ვამლე, გრძნეულ ხილზე, ოქროს ნაყოფზე.

ეს გადმოცემანი იმაზე მეტყველებს, თუ რა სანუეკარ ოცნებას შეადგენდა ძვირფასი ხილი ადამიანისათვის უძველეს დროში.

ჩვენს ციტრუსებსაც ოქროს ნაყოფს უწოდებენ. მართლაც ჰგავს იგი ოქროს ნაყოფს, მარტო ფერით კი არა! იგი ადამიანის ჯანმრთელობისათვის ფრიად სასარგებლო ხალია, შეიცავს მეტად ძვირფას ვიტამინებს. ბავშვი, რომელიც სვამს ლიმონის წვესს, რახიტით არ დაავადდება, ის წვენი არჩენს ცინგით დაავადებულ ადამიანსაც.

ჩვენი საყვარელი საქართველო — საბჭოთა კავშირის ეს თვალმარგალიტი — მდიდარია, სახელგანთქმულია თავისი ძვირფასი, ნიარ-ნაირი ხილით. ვის არ უკვამნია ქართულ ხილის სიტკბოება საქართველოს ფარგლებს გარეთაც. ურალში თუ ციმბარის მხარეში, ბალტიისპირეთში თუ შორეულ აღმოსავლეთში, — სად არ ნახავთ ჩვენი ხეხილის ბაღების, ჩვენი ციტრუსების ნაყოფს. ამჟამად ქართული ციტრუსების ნაყოფი ნახევარ მილიარდს აღემატება, მაგრამ ესეც კი ცოტაა მშრომელთა გაზრდილი მოთხოვნილების დასაკმაყოფიებლად. ციტრუსები ხომ ჩვენი ხალხისათვის ფართო მიზნარების საგანი ვახდა.

მოწინავე საბჭოთა აგრონომიულმა მეცნიერებმა, მიჩურინის დაიღმა მოძღვრებამ ნათლად გვიჩვენა, რომ შეიძლება გავაფართოოთ ციტრუსების საზღვრები, გავაშენოთ და მოვიყვანოთ იგი სხვა რესპუბლიკებსა და მხარეებში.

და აი დიდი სტალინის ინიციატივით მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ამ ძვირფასი სუბტროპიკული კულტურების ფართოდ გავრცელების შესახებ. მოლდავეთი და სამხრეთ უკრაინა, ყირიმი და კრასნოდარის მხარე, დაღესტანი და აზერბაიჯანი, შუააზიის რესპუბლიკები, მალე გახდებიან ციტრუსოვანი და სუბტროპიკული კულტურების მეორე სამშობლოდ.

ამ დიდი საქმის განხორციელებაში უპირველესი როლი საქართველოს ეკუთვნის. ჩვენმა კომმუნურნიებმა წელს ამ ახალი რაიონებისათვის გამოაზამთრეს და მოამზადეს 580 ათასი ციტრუსოვანთა ნერგი, 1500 კილოგრამი ტრიფოლიატის თესლი, 240 კილოგრამი ევკალიპტის თესლი. ახალ რაიონებს ეშვილებიან სამხრეთის ისეთი მცენარეები, როგორცაა ბამბუქი, ხურმა, ლეღვი, ბროწეული, კეთილშობილი დაფნა.

მზრუნველობით, სიყვარულით ელოლიათ ვებოდნენ ქართველი კომმუნურნიები მომხერესპუბლიკებისა და მხარეებისათვის გასაგზავნ ნერგებს.

იციოთ რა შრომა დასჭირდა მათ გამოზამთრებას? ბევრი თქვენგანის წვლილიცაა ამ შრომაში. როგორც კი ტემპერატურა 0 გრადუსამდე დავიდა, ჩვენმა კომმუნურნიებმა იწყენ ფარდულეების კაბობობა. წელს ხომ მაკაცი ზამთარი იყო — ზოგან 15 გრადუსი ყინვაც. ევკალიპტის ნათესებთან სათბურებს ქილონები დააფარეს, რათა ჩველს მცენარეებს არ შესცივონდათ. ამავე დროს ზამთრების დაცვაც იყო საჭირო — ფარდულეებში სითბო 12-15 გრადუსს ზევით არ უნდა ასულიყო. დეკემბერში ევკალიპტების ყველა ნერგი ხავსში გახვიეს და სათბურებში გადაიტანეს. თქვენ ხომ იციოთ რა ძვირფასი მცენარეა ევკალიპტი? — იგი და აგრეთვე ბამბუქი ჰაობებს ამრობენ. ისინი ვასოცრად სწრაფად იზრდებიან. ათიოდ წლის ევკალიპტს ხუთსართულიანი სახლის სიმაღლე აქვს. მისგან ძალიან მაგარ ხის მასალას ღებულობენ.



საქართველოს
გაეროს მინისტრის
კანცელარია

ციტრუსოვანი და სუბტროპიკული კულტურების ახალი საშობლო კოლმეურნეებმა და სოფლის მეურნეობის მუშაკებმა ქართველ მეციტრუსეთა დახმარებით. გააჩაღეს მიჩურინული იერიში ბუნების დასამორჩილებლად. საქართველოში ჩამოდიან და სწავლობენ ახალი რაიონების წარმომადგენლები ნარინჯოვან მცენარეთა მოვლას. ისინი აქ გაეცნენ სუბტროპიკულ მეურნეობას, მოისპინეს ლექციების ციკლი სუბტროპიკულ მცენარეთა ბიოლოგიისა და აგროტექნიკის დარგში.

ჩვენგან უკვე იგზავნება კარგად გამოზამორბული, მოვლილი და გამზადებული ნერგები. თბომავალმა „უკრაინამ“ საქართვე-

ლოდან ოდესის ნავსადგურში ჩაიტანა რამდენიმე ათეული ათასი ლიმონისა და ევკალიპტის ნერგები: მახარაძელმა კოლმეურნეებმა ოდესის გარეუბნის კოლმეურნეებს დამატებით საჩუქრად გაუგზავნეს ლიმონის ათი ათასი ნერგი.

ყველა დანიშნული მიმართულებით, ყველა სახის ტრანსპორტის საშუალებით დაიძრა საქართველოდან მოძმე რესპუბლიკებში და ოლქებში ძვირფას მცენარეთა ნერგები და თესვები. ეს არის მცენარეთა დიდი გადასახლება. გაივლის ოთხიოდე წელი და მშრომელები მათგან მიიღებენ პირველ ნაყოფს.

ლ. ვარდოსანიძე



მოკლე ცნობები

ულრმესი ტბა მსოფლიოში

ულრმესი ტბად მსოფლიოში ითვლება ბაიკალი. იგი ციმბირში მდებარეობს. ყველაზე დიდი სიღრმე ამ ტბაში აღწევს 1521 მეტრს, როცა აზოვის ზღვაში 14 მეტრზე ღრმა ადგილს ვერ შეხვდება.

ბაიკალთან შედარებით მცირე სიღრმისაა სპარსეთის ყურე (ულრმესი ადგილი 150 მეტრი), აგრეთვე გუპონის ყურე (ყველაზე ღრმა ადგილი 225 მეტრი).

ბაიკალი ძალიან მდიდარია თევზით და ლამაზი ტბაა.

თეთრი ზღვა

„თეთრი ზღვა“ სახელწოდება წარმოსდგება იქიდან, რომ ამ ზღვის წყლის ფერი უფრო თეთრია, ვიდრე სხვა ზღვების წყლისა. როგორც საბჭოთა მეცნიერებმა დაადგინეს, თეთრი ზღვის წყალი შესდგება ბევრი

მიკროსკოპული ცოცხალი არსებებისგან, რომლებიც გაბნეულია მზის სინათლეზე. ეს იწვევს სითეთრის შთაბეჭდილებას.

ურჟუმი

გაუფალი ტყეები გარს არტყია ქალაქ ურჟუმს. ამ ქალაქში დაიბადა და გაიზარდა მგზნებარე ბოლშევიკი სერგეი მირონის-ძე კიროვი. ჩვენს დროში ურჟუმში გახდა კიროვის ოლქის კულტურული, ეკონომიური და ადმინისტრაციული ცენტრი.

ქალაქი გაშენებულია პატარა-პატარა გორაკებს შორის. ოდესღაც აქ იყო ულრანი ტყეები, რომლებშიც იმყოფებოდა მრავალი ციყვი. ამ მხარეში დასახლებული მარიელეები უმთავრესად ნადირობას მისდევდნენ. თავის ქალაქს მათ მარიელურ ენაზე უწოდეს „ურჟუმი“, რაც ნიშნავს: „ციყვი დაინახეს!“



მ ო გ ზ ა უ რ ი ნ ა დ ი რ ე ბ ი



კურდღლების გადაფრენა

ვინ არ იცნობს რუხ კურდღელს! სად არ გვხვდება ის. მაგრამ წარმოიდგინეთ, ციმბირის უშველებელ ტყეებსა და მინდორ-ველებში სრულიად არ ბინადრობდა იგი.

საბჭოთა სწავლულებსა და მონადირეებს დიდხანს ვერ გაეგოთ ამისი მიზეზი.

აღმოჩნდა, რომ კურდღელს, ამ დაუღალავ მორბენალს, თურმე ვერ გადაუღახავ მშალა-ლი ურალის ქედი.

ამიტომ საბჭოთა ადამიანებმა გადასწყვიტეს დახმარებოდნენ კურდღლებს.

მონადირეებმა მოსკოვის, იაროსლავლის, ვოლგისა და სხვა ოლქებში დაიპირეს რამდენიმე ასეული ყველაზე უკეთესი ჯიშის რუხი კურდღელი, დატვირთეს თვითმფრინავები, გადააფრინეს ურალის მთების გადაღმა და გაუშვეს ციმბირის სხვადასხვა ადგილებში.

ამ უცნაური გადაფრენიდან გავიდა მშოლოდ ათი წელი და რუხი კურდღელი ციმბირის მრავალ რაიონში ჩვეულებრივი ბინადარი შეიქნა.

არჩეფულებრივი მგზავრები

ყირიმსა და კავკასიაში წიფლის დიდი ტყეებია. ყოველწლიურად ეს ტყეები ათას ტონობით ნოყიერ ნაყოფს იხსამს, რომელიც უსარგებლოდ იბნევა მიწაზე, ვინაიდან კავკასიასა და ყირიმში (ოტა მოიზოვება ისეთი ნადირი, რომელიც წიფლის ნაყოფით საზრდოობს. ეს ნაყოფი კი ჩრდილოეთის ძვირფასბეწვიანი ციყვიებისათვის მეტად კარგი საკვებია. მაგრამ ამ მხარეში ასეთი ციყვები არ ბინადრობენ.

მეცნიერებმა გამოარკიეს, რომ ჩრდილოეთის ციყვები ვერ გადმოდიან კავკასიაში, რადგან გზას უღობავს ასეთელ კილომეტრზე გადაჭიმული უკრაინისა და ვოლგის გადაღმა ველები.

ამიტომ ციყვებს ნადირთომომშენებლები დაეხმარნენ: ციმბირის საუკეთესო ციყვები გამოიყვანეს და გაუშვეს კავკასიაში და ყი-

რიმის წიფლის ტყეებში. ამის შემდეგ აღნიშნულ მხარეების ტყეებში ჩრდილოეთის ძვირფასბეწვიანი ციყვი გავრცელებული ცხოველია.

ამ მგზავრობს მრავალი ნადირი. სულ სამოცდაათი ათასამდე სხვადასხვა ნადირია გადაზიდულ-გადმოზიდილი მატარებლით, თვითმფრინავებით, გემებით და სხე.

ხალხი თავისი სურვილის მიხედვით აიძულებს გარეულ სასარგებლო ცხოველებს, ფრინველებს თევზებს იცხოვროს და გამოარკიდონ იქ, სადაც ეს ხელსაყრელი და მიზანშეწონილია, რათა მათი გამრავლება კი არ შემცირდეს, არამედ ყოველ წელს გაიზარდოს.

ახალი მცხოვრებნი

წარმოუდგენელია ისეთი უნაყოფო და უსარგებლო ფართობი, როგორც ჭაობია. საბჭოთა ადამიანები მრავალ წელს მუშაობდნენ იმისათვის, რომ ჭაობები გადაეცვიათ ისეთივე სასარგებლო ადგილებად, როგორც ტყე და მინდორ-ველია.

ყველაზე კარგი საშუალება ჭაობის ასათვისებლად — ამოშრობაა. ახლა ასიათასობით ნაჭაობარ-ამომშრალ ადგილებზე მშფიდება და იძებება შესანიშნავი თავთავი.

მაგრამ ყველა ჭაობის ამოშრობა არ შეიძლება. არსებობს ისეთი ჭაობები, საიდანაც წყლის გადაშვება არ ხერხდება.

აი, სწორედ აქ დავეხმარნენ ნადირთომომშენებლებს, რომელთაც საინტერესო იდეა წამოაყენეს: ამოუშრობ ჭაობებში ბეწვიანი ვირთავების (ანდატრების) დასახლების შესახებ.

ბეწვიანი ვირთავა წყნარ ჭაობში ცხოვრობს. მისი სამშობლო კანადაა. იკვებება ჭაობის მცენარეების ძირებითა და ლერობით; შესანიშნავად იცის ყვინთვა და ცურვა. ბეწვიანი ვირთავა ისევე, როგორც თავი ლერწმის ლერობისაგან და კორბიანი ხეებისაგან იშენებს ქონს. ქონის სიმაღლე მეტრნახევარს

არწივი და მონადირე


ეს შემთხვევა უკრაინაში მოხდა ნიკოპოლის რაიონში. გამოცდილმა მონადირემ ანდრო ზაგროდნიმ დაიხანა მდინარე ბელოზორდჩინაზე იხვების დიდი გუნდი. როცა მონადირემ იხვებს ესროლა, საიდანაც უზარმაზარი არწივი დაეშვა. ზაგროდნიმ ახლა არწივს ესროლა. სასიკვდილოდ დაჭრილი, ფრთებდამტვრეული არწივი მივარდა მონადირეს და ჩაებლაუჭა კლანჭებით მის თაფს. საშველებლად მოცვიდნენ სხვა მონადირეები და ძლიერი ფრინველი დაიმორჩილეს.

მკვლარი არწივი ოცი კილოგრამი გამოვიდა, ხოლო მისი უზარმაზარი, გამოლილი ფრთები ორ მეტრნახევარი.

„მეფე-ზარბაზანი“

„მეფე-ზარბაზანი“ მოსკოვის კრემლში დგას. იგი ჩამოსხმულია ოსტატ ანდრეი ჩოხოვის მიერ 1586 წელს, მეფე თედორე იოანესძის დროს. იგი არის მსოფლიოში უდიდესი ყუმბარის საარტილერიო იარაღი. მისი ყალიბი უდრის 790 მილიმეტრს. „მეფე-ზარბაზანის“ წონა 39,300 კილოგრამია. მისთვის გათვალისწინებული ქვის ყუმბარა იწონის 850 კილოგრამს, ხოლო თუჯის — 1956 კილოგრამს.

კ ა ს ა რ თ ო ბ ი



ეს სამკუთხედები დალაგეთ ისე, რომ მათში ჩაწერილ ანბანებისაგან წაიკეთხოთ ღოზუნგი.

შედეგია რ. თავაძიშვილი

გამოცანები

1. ხან პატარა, წყნარი, მშვიდი,
ხან დიდი და მოსარიდი,
დღით ღა ღამით მიდის დაღმი,
მან არ იცის ძილი, დაღლა.
2. ბრიალა და მალი,—
ემტერება წყალი.


ალ. ხაჩინოძე

პასუხი გარეკანის 80-4 გვერდზე მოთამაშებულ ფოტოსურათებზე

1. ხერცხვებია, 2. ტარანი, 3. კალმახი,
4. ფორეჯი, 5. ფარაჯა, 6. ლოქო, 7. ორაგუ-
ლი, 8. წვერა, 9. კაპარკინა, 10. ქორკილა,
11. ზეიგები, 12. სეაროსი, 13. კამბალა, 14.
ჩაქუჩა, 15. ზუთხი.

პასუხი № 8-ში მოთამაშებულ გამოცანა თავსატეხისა

6	109	48	55	150
35	130	72	11	120
77	22	107	110	52
182	32	57	88	9
68	75	84	104	37



პასუხი იხილეთ ამვე ნომრის გარეკანის მე-3 გვერდზე

საგარეო ურთიერთობების
სამსახური